

გამოკითხვების (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) შედეგების ანალიზი
და შესაბამისი ანგარიშები

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების მაღალი ხარისხის შემდგომი შენარჩუნება;
- რეკომენდებულია საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში შენარჩუნდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობის ზრდის ტენდენცია;
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში გაგრძელდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობის მაჩვენებლის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება;
- რეკომენდებულია კვების ობიექტით კმაყოფილების ტენდენციის შენარჩუნების უზრუნველყოფა და შემდგომი ამაღლება;
- რეკომენდებულია პერსონალურ დონეზე შრომითი ურთიერთობების მუდმივ განვითარებაზე ფოკუსირება და გამოვლენილი ტენდენციის შენარჩუნება;
- რეკომენდებულია მიღწეული დონის შესანარჩუნებლად ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონიტორინგის მექანიზმების გამრავალფეროვნება.

საკვლევი საკითხი:

პერსონალის დამოკიდებულება საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიმართ - ზოგადი დამოკიდებულება და კონკრეტული ასპექტები - კმაყოფილების კვლევა.

მონაწილე მხარეები:

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

საკვლევი ასპექტები:

სამუშაო გარემოს ზოგადი შეფასება:

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში მუშაობით კმაყოფილება;

უნივერსიტეტში არსებული სამუშაო გარემოს ზოგადი შეფასება;

რამდენად უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო გარემო იმას, რომ მუშაობის პერიოდში პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად?

შრომითი ურთიერთობები - ნორმატიული დონე:

რამდენად იცავს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

რამდენად იცავს უნივერსიტეტი ხელშეკრულების პირობებს;

სამსახურებრივი პოზიციით კმაყოფილება.

შრომითი ურთიერთობები - პერსონალური დონე:

ეთიკის ნორმების დაცვა;

ანაზღაურებით კმაყოფილება;

რამდენად ობიექტურად ხდება პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება?

პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმებით კმაყოფილება.

კომუნიკაციის მექანიზმები:

უნივერსიტეტის მმართველ რგოლებთან კომუნიკაციის მექანიზმები თ კმაყოფილება;

სხვა პერსონალთან კომუნიკაციის მექანიზმებით კმაყოფილება;

უნივერსიტეტის სხვა პერსონალთან თანამშრომლობის ინტენსივობა.

მატერიალურ-ტექნიკური გარემო:

ინვენტარი კმაყოფილება;

არასასწავლო დანიშნულების სივრცეებით კმაყოფილება;

კმაყოფილება ერგონომიკული გარემოთი (ზოგადად);

კმაყოფილება ერგონომიკული გარემოთი (სამუშაო ოთახში);

მატერიალურ-ტექნიკური სამუშაო გარემოს შესაბამისობა მიღებულ სტანდარტებთან;

საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობით კმაყოფილება;

უსაფრთხოების ნორმებით კმაყოფილება;

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის განკუთვნილი სათავსოებით კმაყოფილება;
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის განკუთვნილი სათავსოების განლაგებით კმაყოფილება.

სერვისები:

რამდენად უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო გარემო იმას, რომ შესვენების პერიოდში პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად?

დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.) კმაყოფილება;
უნივერსიტეტის კვების ობიექტით კმაყოფილება.

მონიტორინგის მექანიზმები:

პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმები;

პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები.

საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართულობა:

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესები;

უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესები;

უნივერსიტეტის მისიის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესები;

საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესები;

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესები.

საკვლევი საკითხი - ზოგადი შეფასება:

უნივერსიტეტის ყველა გამოკვლეული ასპექტის გათვალისწინებით, მიზნობრივი ჯგუფის დამოკიდებულება, ზოგადად, დადებითია - თითოეული ასპექტის მიმართ ჯგუფის დიდი უმრავლესობა მკვეთრად გამოხატულ დადებით ტენდენციას ამჟღავნებს;

საკვლევი საკითხი - ცალკეული ასპექტების შეფასება:

სამუშაო გარემო, შრომითი ურთიერთობები (ნორმატიული დონე), კომუნიკაციის მექანიზმები და მატერიალურ-ტექნიკური გარემო საკვლევ საკითხთან მიმართებაში უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს;

საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობა;

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში მაღალია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობის დონე;

ვლინდება კვების ობიექტით კმაყოფილება;

შრომითი ურთიერთობების პერსონალური დონის მაჩვენებლები შესაბამისობაშია ნორმატიულ მაჩვენებლებთან;

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონიტორინგის მექანიზმების შეფასება მკვეთრად დადებითია.

სიტუაციის შეფასება.

უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემო და ძირითადი სამუშაო ნორმების დაცვა ზოგადი პოზიტიური დამოკიდებულებების მაღალ ხარისხს განაპირობებს;

მაღალია პერსონალურ დონეზე საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, შეფასებისა და განვითარების პროცესებში ჩართულობა, მონიტორინგისა და წახალისების მექანიზმებით კმაყოფილება;

პოზიტიური დამოკიდებულება კვების ობიექტით კმაყოფილებასთან მიმართებით;

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონიტორინგის მექანიზმები ეფექტურია.

